სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს სამეურნეო საქონლის შესყიდვაზე.

ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას. შესასყიდი პროდუქცია მოცემულია შემოთავაზების ფორმაში - დანართში №2;
ბანკი მითითებული საქონლის შესყიდვას განახორციელებს ეტაპობრივად 2024 წლის განმავლობაში, შემდეგი პირობების გათვალისიწნებით:

ტენდერის პირობები

- შესაძლებელია კომპანიებმა წარმოადგინონ წინადადება დანართ N 2 არსებული ჩამონათვალზე დამატებით სხვა სამეურნეო პროდუქტისა.
- პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება ერთ ან/და რამდენიმე ბრენდზე ერთად;
- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დანართი №2 - შემოთავაზების ფორმის რედაქტირება, მაგალითად: სტრიქონის დამატება, თუ ერთსა და იმავე პროდუქტზე რამდენიმე შეთავაზება გექნებათ (მაგ.: სხვადასხვა ბრენდის/მოდელის საქონელი);
- საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ბანკის გამოგზავნილი მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მოთხოვნაში მითითებულ ბანკის სერვის ცენტრის მისამართზე (დანართი N 3);
- წინადადებაში მითითებული ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯები საქართველოს მაშტაბით;

აუცილებელი მოთხოვნები

- შემოთავაზების ფორმის დანართ №2-ში აუცილებლად მიუთითეთ შემოთავაზებული პროდუქციის ბრენდის დასახელება და დეტალური მახასიათებლები;
- ფასების მოწოდება ხდება დანართი №2 მეშვეობით
- წარმოდგენილი წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დასკანერებული სახით;

დამატებითი მოთხოვნები

გთხოვთ წარმოდგენილ დალუქულ კონვერტზე მიუთითოთ:

- ტენდერის დასახელება;
- თქვენი კომპანიის დასახელება;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა);

უპირატესობად ჩაითვლება თუ კომპანია საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემდეგ რეგიონალურ მისამართებზე: ქ. ბათუმი, დავით მამულაძის ქ. N 13 ქ. ქუთაისი ზ. გამსახურდია ქ. N 23 .

ანგარიშსწორების პირობები

- ბანკი ყოველ ჯერზე ფილიალებისთვის (თბილისი, რეგიონი) განახორციელებს 1 თვის მარაგის შესყიდვას. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიტანიდან 5 სამუშაო დღეში;
- სილქ ბანკი ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გააფორმებს გენერალურ ხელშეკრულებას სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასების უცვლელობის პირობით;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
- მომწოდებელი ვალდებულია გახსნას ანგარიში სილქ ბანკში.

გამარჯვებულის გამოვლენა

სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ფასი;
- ხარისხი /ტექ.მახასიათებლები;
- მოწოდების ვადები.

მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა
დანართი N2 – ხარჯთაღრიცხვა
დანართი N 3 - ფილიალების მისამარეთები

კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, გამოცდილება, კლიენტების სია (თავისუფალი ფორმით);

შემოთავაზებების მიღების წესი

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 12 იანვარს დილის 10:00 საათიდან 14:00 საათამდე.
მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2

დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, გთხოვთ კითხვები მოიწეროთ procurement@silkbank.ge, მისამართზე.

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი : შალვა ლეჟავა ტელ: 577362888

მადლობა დაინტერესებისათვის